კონფიდ.

ხელშეკრულება № 2017/119

„პერსონალური კომპიუტერების, საოფისე აპარატურის, სატელეკომუნიკაციო და აუდიოვიზუალური მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მათთან დაკავშირებული მომსახურებები" (**CPV** კოდი: 50300000) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

23 მაისი 2017წ.

ერთის მხრივ, სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ს/კ 211368474) (შემდგომში „შემსყიდველი") მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ალექსანდრე მელქაძის სახით და შპს „ჯითიეს ელექტრონიქსი" (ს/კ 205 029 351) მისი გენერალური დირექტორის დავით ქოჩიაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), მეორეს მხრივ ერთობლივად – **მხარეები, ხოლო** ცალ-ცალკე - **მხარე**, მოქმედებენ რა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, თანხმდებიან შემდეგზე:

I. **ხელშეკრულების საგანი**

„შემსყიდველი" უკვეთავს, ხოლო „მიმწოდებელი" ვალდებულია გაუწიოს „შემსყიდველს" UPS – Artronic optimum -L6 kva – 1 ცალი - (CPV კოდი: 50312000) - 242.24 ლარი - შეკეთების მომსახურება დანართი 1-ის (ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი) შესაბამისად.

1. **იხილეთ დანართი №1**

II. **მხარეთა უფლებები და ვალდებულებები**

2.1 „შემსყიდველი" **უფლებამოსილია:**

2.1.1 „მიმწოდებელს" მოსთხოვოს **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;

2.2. „შემსყიდველი" **ვალდებულია:**

2.2.1 მიიღოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება და გადაიხადოს მისი ღირებულება 3.1 პუნქტში გათვალისწინებული წესით.

2.3 „მიმწოდებელი" **უფლებამოსილია:**

2.3.1. „შემსყიდველს" მოსთხოვოს **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;

2.4 „მიმწოდებელი" **ვალდებულია:**

2.4.1. მიაწოდოს დამკვეთს 1.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება, **ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 29 მაისის ჩათვლით.**

III. **ანგარიშსწორება**

3.1 წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების სრული ღირებულება შეადგენს **242.24** (ორასორმოცდაორი ლარი და 24 თეთრი) **ლარს** ყველა გადახდის ჩათვლით;

3.2 გადახდის წესი – <u>**უნაღდო ანგარიშსწორება.**</u>

3.3 „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას გადაუხადოს შემსრულებელს 3.1. პუნქტში მითითებული სამუშაოს ღირებულება <u>შესრულებული სამუშაოს დასრულებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერიდან 5 (ხუთი) საბანკო დღეში.</u>

3.4 დაფინანსების წყარო: **2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.**

IV. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

4.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 პუნქტის 5.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული კონტროლის განმახორციელებელი პირის დასკვნა.

4.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი ზვიად ნადარეიშვილი.

V.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ შემდეგი პირობებით:

5.1.1. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის გაწეული მომსახურების შესაბამისობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან ამოწმებს და ადასტურებს შესაბამისი დასკვნით კონტროლის განმახორციელებელი პირი, ხოლო ამის შემდეგ მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

5.2. ხელშეკრულების 5.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს განახორციელებს სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი ლაშა კალაძე და ელექტრონული რესურსებით მომსახურებისა და დიგიტალიზაციის განყოფილების უფროსი ვასილ თარგამაძე.

5.3. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისგან.

VI. პასუხისმგებლობა

6.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით და წესით. თითოეული მხარე, ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული ნებისმიერი პირდაპირი თუ არაპირდაპირი ზიანი;

6.2 ხელშეკრულების მონაწილე რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მეორე მხარეს უფლება აქვს დააკისროს საურავი იმ პერიოდისთვის არსებული ფინანსური ვალდებულების 0.02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ასეთი უფლებით მხარეს შეუძლია ისარგებლოს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ, და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას;

6.3 პირგასამტეხლოს გადახდა მხარეებს არ ათავისუფლებს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისგან.

VII. ხელშეკრულების მოქმედება და შეწყვეტა

7.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს **2017 წლის 17 ივლისის ჩათვლით.**

7.2 ეს ხელშეკრულება მასში ან/და კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და პირობებით შეიძლება შეწყდეს ვადის გასვლით ან ვადამდე.

7..3 ეს ხელშეკრულება ვადამვე სრულად ან ნაწილობრივ შეიძლება შეწყდეს:

7.3.1 მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

7.3.2. ერთ-ერთი მხარის მიმართ გადახდისუუნარობით საქმის წარმოების დაწყებით;

7.3.3. ერთ-ერთი მხარის უფლებაუნარიანობის ან ქმედუნარიანობის შეწყვეტით;

7.3.4. ერთ-ერთი მხარის მიერ ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცალმხრივად შეწყვეტით;

7.3.5. ამ ხელშეკრულებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

7.4. მხარე, რომელიც მიიღებს ამ ხელშეკრულების ცალმხრივად სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის გადაწყვეტილებას, ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი არ უნდა იყოს 10 (ათი) კალენდარულ დღეზე ნაკლები.

7.5. ამ ხელშეკრულების ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შემთხვევაში:

7.5.1. თუ შეწყვეტა მოხდა **„შემსყიდველის"** ამ ხელშეკრულებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით ბრალეული ქმედების საფუძველზე, **„შემსყიდველი"** ვალდებულია აუნაზღაუროს **„მიმწოდებელს"** მის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული სამუშაოს ღირებულება;

7.5.2. თუ შეწყვეტა მოხდა **„მიმწოდებლის"** ამ ხელშეკრულებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ბრალეული ქმედების საფუძველზე, **„შემსყიდველი"** უფლებამოსილია:

7.5.3. არ მიიღოს **„მიმწოდებლის"** მიერ ფაქტობრივად მიწოდებული სამუშაო და არ აანაზღაუროს იგი.

7.7. ამ ხელშეკრულების ნაწილობრივ შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან.

7.8 მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან ჯეროვნად შეუსრულებლობის საფუძველზე მეორე მხარის მიერ ამ ხელშეკრულების ცალმხრივად სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ამ ხელშეკრულებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობისაგან.

7.9. ამ ხელშეკრულების ვადის გასვლით ან ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შემთხვევაში, მხარეები ვალდებულნი არიან გონივრულ ვადაში, ბრალეული გაჭიანურების გარეშე, შეასრულონ ვადის გასვლით ან ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტილი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოშობილი ვალდებულებები (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) ერთმანეთის წინაშე. ამასთან, ეს ვალდებულებები ძალაშია მათ სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

VIII.მხარეთა განცხადებები

8.1 მხარეები აცხადებენ და იძლევიან გარანტიას, რომ:

8.1.1 ჩამოყალიბებულნი არიან საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში;

8.1.2. აქვთ სრული უფლებამოსილება ხელი მოაწერონ **ხელშეკრულებას**;

8.1.3. **ხელშეკრულების** ხელმოწერა და **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული მოქმედებების შესრულებით არ არღვევენ ან/და არ დაარღვევენ მოქმედ კანონმდებლობად, საკუთარ წესდებას ან/და სხვა ნებისმიერ მარეგულირებელ დოკუმენტს.

IX. მხარეები იძლევიან გარანტიებს

9.1 დამკვეთი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ დროულად განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისიწნებული ვალდებულების შესრულება.

X. ფორს-მაჟორი

10.1 მხარეები თავისუფლდებიან **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდა, რომ ვალდებულებები შეუსრულებლობა შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება განპირობებული იყო დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, დაგანგებო ან საომარი მდგომარეობა, სამოქალაქო მღელვარება, გაფიცვა, აგრეთვე მთავრობის მხრიდან ისეთი ნორმატიული ან ადმინისტრაციული შეზღუდვის დადგენა, რომელიც ზეგავლენას ახდენს ვალდებულების შესრულებაზე) ანუ კონკრეტულ პირობებში საგანგებო, გადაულახავი და გარდაუვალი მოქმედებით;

10.2. მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ, წერილობით შეატყობინონ ერთმანეთს ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის და დასრულების შესახებ.

XI. კონფიდენციალობა

11.1 **ხელშეკრულების** თითოეული მხარე იღებს ვალდებულებას დაიცვას და არ გაახმაუროს **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ინფორმაცია მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

XII დავების გადაწყვეტა

12.1. **ხელშეკრულება** რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მხარეები მიიღებენ ყველა ზომას, რათა მოლაპარაკები გზით გადაჭრილ იქნას ნებისმიერი დავა თუ უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე;

12.2. მხარის პრეტენზია, მეორე მხარის მიერ განიხილება, მისი წერილობთი ფორმით მიღებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში;

12.3. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან მოლაპარაკების გზით, მაშინ დავა განიხილება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

XIII.ინტერესთა კონფლიქტი

13.1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

XIV დასკვნითი დებულებები

14.1. **ხელშეკრულება** შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთანად თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა;

14.2. **ხელშეკრულების** რომელიმე მუხლის ან/და პუნქტის საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ბათოლობის შემთხვევაში დანარჩენი მუხლები და/ან პუნქტები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას, ხოლო ბათილი მუხლის ან/და პუნქტის ნაცვლად კი მოქმედებს ისეთი მუხლი ან/და პუნქტი, რომლითაც ადვილად მიიღწევა **ხელშეკრულების** მიზანი;

14.3. **ხელშეკრულებაში** ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, რომელი ძალაში შევა თითოეული მხარის მიერ მასზე ზელმოწერის მომენტიდან;

14.4. **ხელშეკრულების** დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს, დანართში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, რომელიც ძალაში შევა თითოეული მხარის მიერ მასზე ხელმოწერის მომენტიდან.

XV. მხარეთა საბანკო რეკვიზიტები

სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი	შპს „ჯითიეს ელექტრონიქსი“
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა კოდი: TRESGE22	ბანკი: სს „ვითიბი ნაკი“ კოდი: UGEBGE22 ა/ა: GE28VT0400108014803602

XVI. მხარეთა ხელმოწერები

სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი	შპს „ჯითიეს ელექტრონიქსი“
მისამართი: ქ. თბილისი, ალექსიძის 1/3 ს/კ 211368474 ტელ.: 247-42-42 **Mail:** info@manuscript.ac.ge	ს/კ 205 029 351 იურ.მისამართი: ვაჟა-ფშაველას 4კვ. 4 კორპ. ოფისი: მოსკოვის გამზ. №35 , 0137 ქ. თბილისი ტელ: +99532 2 710 800 ფაქსი: +99532 2 710 900 ელ. ფოსტის მის: maia@gts-el.com
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი: /ალექსანდრე მელქაძე/	გენ. დირექტორი: /დავით ქოჩიაშვილი/

დანართი №1

ფასების ცხრილი

რაოდენობა	სამუშაოს აღწერილო	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	ტექნიკური დათვალიერება და დიაგნოსტიკა	145,38	145,38
2	კონდენსატორი 10მკფ.	13,30	26,60
1	უწყვეტი კვების წყაროს რემონტი	48,46	48,46
1	უწყვეტი კვების წყაროს ტესტირება	21,80	21,80
ჯამი			**242,24**

შპს „ჯი თი ეს ელექტრონიქსის“

გენერალური დირექტორი

დავით ელჩიაშვილი

სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის

დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი:

ალექსანდრე მელქაძე